ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1231454

ნომერი: AR1210661

თარიღი : 11.04.2014

გაცემის თარიღი : 22.04.2014

გაცნობის თარიღი : 23.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გურამიშვილის გამზირი N75-ის მიმდებარედ, მინდელის სახ. ხიდიდან გლდანში მიმავალ გზაზე, (ნაკვ. 26/15) ; ქალაქი თბილისი , გურამიშვილის გამზირი N75-ის მიმდებარედ, მინდელის სახ. ხიდიდან გლდანში მიმავალ გზაზე, (ნაკვ.26/16) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თომა ჩიტაიშვილი პ/ნ 31001018349
- მცხეთა გმირის ქ#2

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1210661 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##01.11.04.026.016, 01.11.04.026.015) გაერთიანების შემდგომ, სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს გზის პირს რომელიც მდებარეობს რთული სატრანსპორტო კვანძისა და არსებული ხიდის სიახლოვეს. ზემოაღნიშნულიდან, ასევე მიწის ნაკვეთის კონფიგურაციიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკადასტრო ერთეულები წარმოადგენს სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთებს და მათი სამშენებლოდ განვითარება, არქიტექტურის სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად არ მიაჩნია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge